



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135242435

თარიღი:30/08/2024

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“- ის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს № 27/08/02 განკარგულების შესაბამისად და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით;
2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას;
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად;
4. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი #2-ის შესაბამისად;
5. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:
 - ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და გამოსცეს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები;
 - ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების

საქმიანობის ვადით გადასცეს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას;
გ) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №47- მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის მე-პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
7. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას.
8. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.
9. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.
10. ეს განკარგულება:
 - ა) გადაეგზავნოს №47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;
 - ბ) გამოიკრას მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.mestia-sakrebulo.gov.ge www.mestia-meria.gov.ge შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგენტოს მასალის ჩამოხსნა.
11. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა.
12. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 02 ოქტომბრის მუნიციპალური ორგანოების არჩევნებზე.
13. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალას ქ. N-12).

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

